ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5354574

ნომერი: AR1802200

თარიღი : 04.02.2021

გაცემის თარიღი : 05.04.2021

გაცნობის თარიღი : 05.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეჩხუმის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იანეკ შიხიაშვილი პ/ნ 01011030924
- თბილისი განთიადის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 04 თებერვლის AR1802200 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.12.12.029.011 მიწის ნაკვეთზე ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტების მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

1. მოთხოვნის შინაარსი -> .მოთხოვნის ტექსტი: განიმარტოს ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგეობობების შესახებ.
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> .ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურთები თარიღის ფიქსაციით, გადაღებული სხვადასხვა რაკურსით, საპროექტო არეალის სრულყოფილად აღსაქმელად.
3. ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> .ფუნქციური დანიშნულება : -> მიუთითეთ საპროექტო შენობაში შემავალი ფუნქციები.
4. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოადგინეთ განახლებული საინფორმაციო დაფა-ბანერი. საინფორმაციო დაფა – ბანერი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

5. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა -ელ. მომარაგების ძირითადი ქსელი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
6. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა. -> . სქემის ელექტრონული ფაილი.:-> წარმოადგინეთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა, შენობიდან არსებულ ხე–ნარგავებამდე მიბმის მანძილების დატანით. ტოპოგრაფიულ გეგმაზე ასევე უნდა დაიტანოთ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით, რომლის წარმოდგენის შემდგომ მოხდება განაცხადის გადაგზავნა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.
7. ვინაიდან სპეცნებართვის მოთხოვნის ეტაპზე ქუჩის მხრიდან სკვერის კეთილმოწყობა იყო გათვალისწინებული, ზემოაღნიშნული უნდა ფიქსირდებოდეს სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების მიერ გაცემულ თანხმობაში. ამასთან, საჭიროა წარმოადგინოთ ზემოაღნიშნულის შესაბამისად კეთილმოწყობა.
8. გათვალისწინებული იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დანართი (წერილის ნომერი: MIA 8 21 00317216; 10/02/2021).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2021 წლის 04 თებერვლის AR1802200 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.